

სახელმწიფო საინვესტიციო რესურსების ხელმისაწვდომობა მცირე ფერმერებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის

პოლიტიკის დოკუმენტის რეზიუმე



2016

სახელმწიფო საინვესტიციო რესურსების
ხელმისაწვდომობა მცირე ფერმერებისა და
სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის

პოლიტიკის დოკუმენტის რეზიუმე

ავტორი: ნინო ედილაშვილი



აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა არის საქართველოში რეგისტრირებული ადგილობრივი და საერთაშორისო არაკომერციული იურიდიული პირების გაერთიანება, რომლებიც მიზნად ისახავენ აღმოსავლეთ პარტნიორობის პრალის, ვარშავისა და ვილნიუსის სამიტების ერთობლივი დეკლარაციებითა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებით და სხვა ერთობლივი ღონისძიებებით განსაზღვრული მიზნების განხორციელების ხელშეწყობას.

Eastern Partnership Civil Society Forum Georgian National Platform is an association of local and international non-commercial legal entities registered in Georgia, aiming to promote and implement the goals set by the Joint Declarations of the Prague, Warsaw and Vilnius Eastern Partnership Summits and the EU-Georgia Association Agreement of European Neighborhood Policy and other joint events.

ავტორი: ნინო ედილაშვილი

რედაქტორი: თამარ ნეფარიძე

© აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა

სოფლის მეურნეობის აღორძინება საქართველოს მთავრობის მიერ პრიორიტეტულ მიმართულებად არის გამოცხადებული. მიუხედავად სოფლებიდან ძლიერი მიგრაციისა, იქ კვლავ საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი ცხოვრობს (საქსტატი, 2014 წლის აღწერა), ხოლო დასაქმებულთა 52% სოფლის მეურნეობის სექტორშია წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულთა 98% მცირე მინიანი მეურნეობებია, რომლებიც, ძირითადად, თვითდასაქმებულთა სტატუსით განისაზღვრებიან. ამიტომ, სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარება მცირე გლეხობის ხელშეწყობის გარეშე დადებით შედეგებს ძნელად მოიტანს. გარდა ამისა, ამ კრიტიკული მასის ინტერესების უგულვებელყოფა სოფლის მეურნეობის პოლიტიკის დაგეგმარებაში გამოიწვევს სოციალური უთანასწორობის გაღრმავებას და დადებითად ვერ აისახება ქვეყნის მდგრადი განვითარების მისწრაფებებზე. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებისთვის გამოყოფილი საინვესტიციო რესურსი სამართლიანად იყოს გადანაწილებული და ამ სექტორში დასაქმებულ კრიტიკულ მასას პროპორციულად მიუწვდებოდეს ხელი ინვესტიციებზე საკუთარი მეურნეობის განვითარების მიზნით.

პოლიტიკის დოკუმენტის ზოგადი მიზანია არსებული სახელმწიფო ინვესტიციების შეფასება სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდის თვალსაზრისით და მცირე მეურნეების მონაწილეობის ანალიზი სასურსათო დოვლათის შექმნის პროცესში. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, განსაკუთრებით ვაჭრობის ღრმა და ყოვლისმომცველი ხელშეკრულების მიხედვით, საქართველოს საშუალება ეძლევა ევროკავშირის ქვეყნებთან აწარმოოს სავაჭრო ურთიერთობა პროდუქტისა და სერვისების მიწოდებაში, მათ შორის, სასუფლო-სამეურნეო პროდუქციაშიც. ეს, რა თქმა უნდა, დიდი პოტენციალის შესაძლებლობაა, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ამ ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულების პროცესში მცირე გლეხობის ინტერესების უგულვებელყოფა არ მოხდეს.

გარდა საექსპორტო პოტენციალისა, რაც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული, მნიშვნელოვანია ისიც, რომ მცირე ფერმერების პოტენციალი გამოყენებული იქნას ადგილობრივად მოხმარებული პროდუქციის შექმნაში. ადგილობრივი ბაზრების ათვისება მცირე მეურნეების წარმოებული პროდუქციით მნიშვნელოვნად გაზრდის მათ შემოსავლებსა და ნაწილობრივ შეამსუბუქებს სოფლად სიღარიბის დონეს.

ქვეყნის პოლიტიკის დაგეგმარება სოფლის მეურნეობისა და საერთაშორისო ვაჭრობის დარგში უნდა ითვალისწინებდეს არა მარტო ერთეული ინდივიდების ინტერესებს, არამედ დადებითად აისახოს სოფლად მცხოვრები კრიტიკული მასის განვითარებაზე. ამიტომ მცირე მეურნეების საჭიროებების გათვალისწინება სასურსათო დოვლათის შექმნის პროცესში აუცილებელია. ამ კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე ფერმერებისთვის საინვესტიციო

რესურსზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, რომელიც გამოყენებული იქნება სურსათის უვნებლობის სტანდარტების დანერგვაზე. ამ მხრივ განსაკუთრებით სტრატეგიული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობას, ვინაიდან საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით, ეს გზა არის ყველაზე ხარჯეფექტიანი გზა შემდეგი ქვემიზნებისთვის (1) მცირე მეურნეების შემოსავლების გაზრდისთვის, (2) ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის გაზრდისთვის, (3) სოფლად დასაქმების გაზრდისთვის, (4) სოფლიდან მიგრაციის შემცირებისთვისა (5) და ბოლოს, სოციალური უთანასწორობის შემცირებისთვის, რომლის მიხედვითაც საქართველო 154 ქვეყნიდან 71-ე ადგილზეა¹.

პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია, შეაფასოს სახელმწიფო საინვესტიციო ინტერვენციების ხარისხი მცირე ფერმერების ინტერესებიდან გამომდინარე, თუ რამდენად არის მცირე ფერმერების ინტერესების უგულვეყოფა სხვადასხვა რისკის მატარებელი, როგორცაა სოციალური უთანასწორობის გაღრმავება და სასურსათო უსაფრთხოების მაჩვენებლის გაუარესება.

¹ GINI Index, World Bank

საქართველოს ეროვნული პლატფორმა
ტელ.: +995 32 293 11 28
მობ.: +995 570 10 44 90; +995 570 10 15 28
ელ-ფოსტა: np@ei-lat.ge
ვებგვერდი: eap-csf.ge